ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3690051

ნომერი: AR1557600

თარიღი : 16.11.2017

გაცემის თარიღი : 17.11.2017

გაცნობის თარიღი : 20.11.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 64 / ქალაქი თბილისი , ილია ჭავჭავაძის გამზირი , N 66-ის მიმდებარედ , (ნაკვეთი N2/14) / ქალაქი თბილისი , ილია ჭავჭავაძის გამზირი , N 66-ის მიმდებარედ , (ნაკვეთი N2/18) / ქალაქი თბილისი , ილია ჭავჭავაძის გამზირი , N 66-ის მიმდებარედ , (ნაკვეთი N2/19) / ქალაქი თბილისი , გამზირი ჭავჭავაძე , N 66 , (ნაკვეთი N2/24) / ქალაქი თბილისი , გამზირი ჭავჭავაძე , N 66 , (ნაკვეთი 2/25) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ანზორ პაპაშვილი პ/ნ 01008007463
- თბილისი ა.ერისთავ-ხოშტარიას ქ. N 18 ბ. 7

ორგანიზაცია:

- შპს " ჭავჭავაძის 64ა" კოდი: 404890908

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 13 აპრილის №2540850 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 16 ნოემბრის №AR1557600 განცხადებით მომართა ანზორ პაპაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2014 წლის 27 აგვისტოს №1452832 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 13 აპრილის №2540850 ბრძანებით შეთანხმდა: ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზ. №64 და №66-ის მიმდებარედ (ნაკვ. №2/14)/ №66-ის მიმდებარედ (ნაკვეთი #2/18#66-ის მიმდებარედ (ნაკვეთი #2/19)/ №66 -ში (ნაკვ. №2/24 №66 -ში (ნაკვ. #2/25), შპს ,,ჭავჭავაძის 64ა"–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი N 01.14.11.002.035) მრავალფუნქციური დანიშნულების ობიექტის – სასტუმრო (,,ა" ბლოკი) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 13 აპრილიდან 2017 წლის 13 ოქტომბრის ჩათვლით.

წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2014 წლის 27 აგვისტოს №1452832 ბრძანებაში ცვლილების შეტანას, კერძოდ: სამსახურის 2016 წლის 13 აპრილის №2540850 ბრძანებით შეთანხმებული შესაბამისი საპროექტო გეგმების 2017 წლის 16 ნოემბრის №AR1557600 განცხადებით წარმოდგენილი შესაბამისი საპროექტო გეგმებით ჩანაცვლებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

სამსახურმა გამოიკვლია 2017 წლის 16 ნოემბრის №AR1557600 განცხადებით წარმოდგენილი მოთხოვნა, შეადარა 2016 წლის 13 აპრილის №2540850 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს შესაბამისი ცვლილება მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 13 აპრილის №2540850 ბრძანებაში, კერძოდ: ჩანაცვლდეს სამსახურის 2016 წლის 13 აპრილის №2540850 ბრძანებით შეთანხმებული შესაბამისი საპროექტო გეგმები 2017 წლის 16 ნოემბრის №AR1557600 განცხადებით წარმოდგენილი შესაბამისი საპროექტო გეგმებით.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 13 აპრილის №2540850 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 13 აპრილის №2540850 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.